SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

JÜLICH FORSCHUNGSZENTRUM

შეთანხმება

ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და

იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის

დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის

იულიხ - საქართველოს

ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ

ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა (შემგდომში „ფონდი“) და იულიხის სამეცნიერო ცენტრს (შემგდომში „ცენტრი“) შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) გამოცხადების თაობაზე.

1 - ხელშეკრულების საგანი

მხარეები თანხმდებიან განახორციელონ ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტიდან (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგენილი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებას ცენტრში;

მხარეებს შორის შეთანხმების საფუძვლებია:

- მემორანდუმი სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გაფორმებულია იულიხის სამეცნიერო ცენტრსა (JÜLICH, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს((SRNSF, საქართველო) შორის (ივნისი, 2015)-დანართი 1;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და JÜLICH სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების წერილი (2014) - დანართი 2;
- მემორანდუმი JÜLICH, თსუ და სტუ -ს ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ (2010) - დანართი 3;
- მემორანდუმის ცვლილება, ხელმოწერილი JÜLICH, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორების მიერ (2014) - დანართი 4.

2 - პროგრამის მიზნები და ამოცანები:

2.1 - პროგრამის მიზნებია:

- მიეცეთ ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ესტუმრონ მსოფლიოში წამყვან კვლევით ცენტრს გამოცდილების მისაღებად და წარმართონ უახლესი, მაღალი დონის კვლევები როგორც ფუნდამენტური ისე გამოყენებითი მიმართულებით.

- ხელი შეუწყოს ცენტრს რათა საქართველოს უნივერსიტეტებიდან მოიზიდოს საუკეთესო სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კვლევების განსახორციელებლად, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

- სტაჟირებიდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ, ცენტრში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ქართველმა სტუდენტებმა გამოიყენონ და გაავრცელონ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტუტებში.

2.2 - პროგრამის ამოცანები:

ფონდისა და ცენტრის დაფინანსება ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობას მისცემს ცენტრში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ მათ სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ შეთანხმებულ კვლევით სფეროებში:

ა) მათემატიკური მეცნიერებები;
ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
დ) საინჟინრო მეცნიერებები;
ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

2.3 - პროგრამის სამიზნე ჯგუფები:

2.3.1 ბაკალავრის ხარისხის მქონე (ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები) მაგისტრანტები წელიწადში არაუმეტეს სამისა, რომლებიც ჩაატარებენ ცენტრში სამაგისტრო დიპლომისთვის საჭირო კვლევას (სამაგისტრო თეზისის მომზადება) შეთანხმებული კვლევითი მიმართულებებით.

2.3.2 30 წლამდე დოქტორანტები, წელიწადში არაუმეტეს სამისა, რომელთაც აქვთ მაგისტრის ხარისხი (ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული ხარისხი), შეთანხმებული კვლევითი მიმართულებით, რათა განახორციელონ ცენტრში სადოქტორო პროგრამისთვის საჭირო კვლევა (სადოქტორო თეზისის მომზადება).

3 - შეთანხმების ხანგრძლივობა და ვადები:

3.1 შეთანხმება ძალაში შედის მისი ორმხრივი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2020 წლის 16 ივნისამდე.

3.2 მაგისტრანტისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს, მისი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს.

3.3 დოქტორანტებისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 წლამდე, მომდევნო 6 თვიანი გაგრძელების შესაძლებლობით. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდსა და ცენტრს შორის და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტის ოფიციალურ მოთხოვნას. ცენტრში კლევითი სტაჟირების დრო არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

4 - დაფინანსება:

ფონდისა და ცენტრის ერთობლივი დაფინანსება მოიცავს:

4.1 მიზნობრივ საგრანტო დაფინანსებას ამ ხელშეკრულების 2.3.1 და 2.3.2 პუნქტებში განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის; დაფინანსება ჯამში შეადგენს ყოველთვიურ თანხას 900 ევროს მაგისტრანტებისთვის და 1400 ევროს დოქტორანტებისთვის და ფარავს ყოველდღიურ საცხოვრებელ ხარჯებს, ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევას;

4.2 სამოგზაურო გრანტებს ამ შეთანხმების 2.3.1 და 2.3.2 ქვე-პუნქტებით განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის და ითვალისწინებს:

ა) ევროკავშირის ფარგლებში წელიწადში ერთ მოგზაურობას სამაგისტრო/სადოქტორო თემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე/აქტივობაზე დასასწრებად;

ბ) წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის (ეკონომკლასის ბილეთით);

4.3 ყოველთვიური ანაზრაურების 50% ფარავს ცენტრი და 50%-ს - ფონდი;

4.4 სამოგზაურო გრანტებს, რომელიც გულისმხობს ევროკავშირის ფარგლებში მგზავრობას, გასცემს ცენტრი;

4.5 საქართველო-გერმანიას შორის მგზავრობას აფინანსებს ფონდი.

5 ერთობლივ პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის პროცედურა:

5.1 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტის (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგინებით პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატმა, ფონდში უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი ელექტრონულად და ნაბეჭდი სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე.

5.2 განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) შევსებულ განაცხადის ფორმას - თავფურცელს (ქართულად და ინგლისურად);

ბ) ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში გრანტის მაძიებლის ხელმძღვანელის (დაწესებულების/იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის მხრიდან გაცემული ოფიციალურ მოწვევის წერილს[1] (ინგლისური ვერსია);

გ) სარეკომენდაციო წერილს საქართველოდან გამგზავნ უნივერსიტეტში ხელმძღვანელისგან (ინგლისურად);

დ) განმცხადებლის ყველაზე მაღალი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქართულად, თარგმნილს ინგლისურად, ან გერმანულად)[2];

ე) გერმანული და/ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ინგლისურად, ან გერმანულად)[3];

ვ) რეზიუმეს ტაბულარულ ფორმაში (CV in Tabular form ინგლისურად);

ზ) ნაშრომების სიას, სათაურების, თანაავტორების, გამოქვეყნების ადგილის, თარიღისა და სხვა საჭირო დეტალების მითითებით. (ასეთის არსებობის შემთხვევაში ინგლისურად);

თ) კვლევის გეგმას (1 – 2 გვერდი ინგლისურად), რომელიც შეთანხმებულია ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტთან და რომელიც დაბეჭდილია ცენტრის ოფიციალურ ლოგოიან ფურცელზე და ხელმოწერილია აკადემიური ხელმძღვანელის მიერ იულიხის ცენტრიდან.

5.3 ფონდის მიერ მიიღება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადი. არასრულყოფილი განაცხადი არ განიხილება.

---

[1] ცენტრის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერის მიერ ხელმოწერილი მოწვევა (მეცნიერ-ხელმძღვანელობაზე თანხმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს იულიხის ოფიციალურ შტამპიან ქაღალდზე (მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით). მოწვევა ნათლად უნდა განსაზღვავდეს დაგეგმილი კვლევითი სტაჟირების ვადებს. მოწვევის წარდგენა დასაშვებია ელექტრონული ფოსტით და ფაქსით.

[2] საკვალიფიკაციო სერტიფიკატების, დიპლომისა და მაგისტრის სერტიფიკატებისთვის საჭიროა გერმანული ან ინგლისური თარგმანის წარდგენა, რომელიც დამოწმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

[3] ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება გაცემული იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

6 გრანტის გაცემის პროცედურები და ანგარიშგება:

6.1 ფონდში განაცხადების წარმოდგენის შემდეგ, ფონდის ადმინისტრაცია ამოწმებს ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით დოკუმენტაციის პაკეტის შესაბამისობას ამ შეთანხმების ქვე-პუნქტ 5.2-ში მოთხოვნილი საბუთების ჩამონათვალთან.

6.2 ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი სთხოვს განმცხადებელს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

6.3 ფონდი ადგენს შემოსული განაცხადების ერთიან სიას, რომელშიც შედის წინამდებარე შეთანხმების პუნქტ 5.1-ში მითითებული საქართველოს უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი კანდიდატურები (მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის; წელიწადში მაქსიმუმ 3 მაგისტრანტი და 3 დოქტორანტი) და, დოკუმენტაციის სრულ პაკეტთან ერთად, ელ. ფოსტით აგზავნის განაცხადებს ცენტრში განსახილველად და დასამტკიცებლად.

6.4 საბოლოო გადაწყვეტილებას განაცხადების დამტკიცებაზე იღებს იულიხის ცენტრი.

6.5 ცენტრის მხრიდან მოწოდებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე ფონდი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს შესაბამის პირებთან (მაგისტრანტებთან და დოქოტრანტებთან) და აფინანსებს მიზნობრივ საგრანტო დაფინანსების (ყოველთვიური გრანტის) ბიუჯეტის 50%, და წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის.

6.6 გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი (მაგისტრანტი, დოქტორანტი) ანგარიშვალდებულია პროგრამის დასრულების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებიდან 21 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს მოკლე მოხსენებითი ანგარიში (ქართულ და ინგლისურ ენაზე) გაწეული საქმიანობის შესახებ და ფინანსური ანგარიში (პირველადი დოკუმენტები/ასლები) ფონდის მიერ მისი სამგზავრო ხარჯების დაფინანსების შემთხვევაში.

6.7 მოხსენებით ანგარიშ(ებ)თან ერთად, გრანტის მიმღებმა ამავე პერიოდში უნდა წარმოადგინოს ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელის შეფასება მაგისტრანტის/დოქტორანტის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ (ინგლისურ ენაზე).

7 - საკონტაქტო პირები:

ფონდიში:

ხატია ანანიაშვილი
ქ. თბილისი, 0193
მ. ალექსიძის ქ. 1
ananiashvili@rustaveli.org.ge

ცენტრში:

საბინე დუს,
საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი
დირექტორთა საბჭოს და საერთაშორისო
ურთიერთობების სამსახური
Sabine Dues, Manager International Affairs
Office of the Board of Directors and International
Affairs; Forschungszentrum Jülich GmbH
D-52425 Jülich, Germany
s.dues@fz-juelich.de

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

For Shota Rustaveli National Science Foundation

პროფესორი, დოქტორი მარინე ჩიტაშვილი

გენერალური დირექტორი

16.06.2015

იულიხის სამეცნიერო ცენტრი (JÜLICH)

For Forschungszentrum Jülich GmbH

პროფესორი, დოქტორი სებასტიან მ. შმიდტი

დირექტორთა საბჭოს წევრი

16.06.2015

2. ცვლილება

შეთანხმებაში

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის იულიხ - საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ

ცვლილებები

1. „ფონდის“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

2. **მუხლი 1 - ხელშეკრულების საგანი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მხარეები თანხმდებიან განახორციელონ ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტიდან (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგენილი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებას „ცენტრში“[1].

იურიდიული საფუძვლებია:

- მემორანდუმი სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გაფორმებულია იულიხის სამეცნიერო ცენტრსა (JÜLICH, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს((SRNSF, საქართველო) შორის (ივნისი, 2015)-დანართი 1;

[1] რადგან იულიხი არის კვლევითი ცენტრი და არა უნივერსიტეტი, იულიხის მიერ დასაქმებული ყველა პროფესორი დამატებით უნდა მოღვაწეობდეს რომელიმე გერმანულ უნივერსიტეტში. შესაბამისად, მაგისტრანტებმა/დოქტორანტებმა შესაძლებელია სტაჟირება გაიარონ მათი ხელმძვანელის უნივერსიტეტში. დოქტორის ორმაგი ხარისხის მისაღებად, „კოტუტელის“ პროცედურის ფარგლებში, სტუდენტები ვალდებული არიან, ჩაირიცხონ მათი ხელმძღვანელის უნივერსიტეტში. „კოტუტელის“ პროცედურის მიხედვით, საქართველოს პარტნიორმა უნივერსიტეტმა, დამატებით, უნდა დადოს კონტრაქტი ამ კონკრეტულ უნივერსიტეტთან.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და JÜLICH სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების წერილი (2014) - დანართი 2;
- მემორანდუმი ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ SMART|Lab-ებთან დაკავშირებით, გაფორმებული JÜLICH-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, რომელიც ხელმოწერილია 2015 წლის 7 ოქტომბერს.

მუხლი 3-ის - შეთანხმების ხანგრძლივობა და ვადები, მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დოქტორანტებისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს არაუმეტეს 3 წლისა, მომდევნო არაუმეტეს 6-თვიანი გაგრძელების შესაძლებლობით. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდსა და ცენტრს შორის და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტის ოფიციალურ მოთხოვნას. სტაჟირების ვადის გაგრძელების შემთხვევაში ფონდი არ გასცემს დამატებით დაფინანსებას. ცენტრში/იულიხთან ასოცირებულ უნივერსიტეტებში კლევითი სტაჟირების დრო არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

მუხლი 4-ის - დაფინანსება, 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მიზნობრივ საგრანტო დაფინანსებას ამ ხელშეკრულების 2.3.1 და 2.3.2 პუნქტებში განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის; დაფინანსება ჯამში შეადგენს ყოველთვიურ თანხას 900 ევროს მაგისტრანტებისთვის და 1400 ევროს დოქტორანტებისთვის და ფარავს ყოველთვიურ საცხოვრებელ ხარჯებს, ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევას.

მუხლი 5-ის - ერთობლივ პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის პროცედურა, 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტის (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგინებით პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატმა, ფონდში უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი ელექტრონულად და ნაბეჭდი სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე.

მუხლი 6-ის - გრანტის გაცემის პროცედურები და ანგარიშგება, მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.6 გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი (მაგისტრანტი, დოქტორანტი) ანგარიშვალდებულია პროგრამის დასრულების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებიდან 21 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს მოკლე მოხსენებითი ანგარიში (ფონდის მიერ დამტკივებული ფორმის მიხედვით) (ქართულ და ინგლისურ ენაზე) გაწეული საქმიანობის შესახებ და ფინანსური ანგარიში (პირველადი დოკუმენტები/ასლები) ფონდის მიერ მისი სამგზავრო ხარჯების დაფინანსების შემთხვევაში.

10 მაისი, 2016 წ.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

იულიხის კვლევითი ცენტრი

პროფესორი, დოქტორი მარინე ჩიტაშვილი

გენერალური დირექტორი

(ხელმოწერილია)

პროფესორი, დოქტორი სებასტიან მ. შმიდტი

დირექტორთა საბჭოს წევრი

(ხელმოწერილია)

პროფესორი, დოქტორი ჰანს შტროერი

ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი

(ხელმოწერილია)

Agreement

on

JÜLICH-GEORGIA Joint Programme for Master and PhD Students

Jointly funded by:

Forschungszentrum Jülich (JÜLICH)
and
Shota Rustaveli National Science Foundation (FOUNDATION)

Based on the Memorandum of Understanding concluded between Shota Rustaveli National Science Foundation (hereinafter referred to as "the FOUNDATION") and Forschungszentrum Jülich GmbH (hereinafter referred to as "JÜLICH") the parties agree to announce a Joint Research and Education Programme (hereinafter referred to as "the Programme").

1 Scope

The parties agree to implement the Programme in order to further intensify and strengthen the cooperation between Germany and Georgia and provide support to Master and PhD students from Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Ilia State University or any other Georgian university (by mutual consent of JÜLICH and this university) to ensure their internships at JÜLICH.

Legal basis:

- Memorandum between the Forschungszentrum Jülich (JÜLICH, Federal Republic of Germany) and the Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF, Georgia) on Scientific Cooperation (June 2015) - Annex 1;
- Letter of Intent between the Ministry of Education and Science of Georgia (MoE) and Forschungszentrum Jülich GmbH (JÜLICH) on strategic partnership (2014) - Annex 2;
- Memorandum of Understanding between Forschungszentrum Jülich GmbH, Jülich, Germany (JÜLICH) and Georgian Partner Institutions (GEORGIA): Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Georgian Technical University (GTU) on the extension and expansion of mutual scientific cooperation (2010) - Annex 3;
- Amendment to the Memorandum of Understanding between Forschungszentrum Jülich GmbH (JÜLICH) and Georgian partner institutions (GEORGIA), Iv. Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Georgian Technical University (GTU) (2014) - Annex 4.

2 Purpose and Objectives of the Programme:

2.1 Purpose of the Program is to:

- enable Georgian students the access to the world-leading scientific research center JÜLICH to experience and conduct frontier research in fundamental and applied sciences.
- assist JÜLICH in recruiting the best and the brightest students from Georgian universities and prepare Master and PhD theses for further progress of Georgian science.

- upon completion of the internship, the students are expected to return back to Georgia to apply to and share with the local universities and research institutes their skills and knowledge gained at JÜLICH.

2.2 Objectives of the Programme:

The FOUNDATION and JÜLICH will provide Georgian Master and PhD-students the opportunity to carry out a Master/PhD thesis related research at JÜLICH during their internship, and to establish long-term cooperation with researchers at JÜLICH as well as in German universities or non-university research institutions in the following agreed research fields:

a) Mathematics;
b) Information Technologies;
c) Natural Sciences;
d) Engineering Sciences;
e) Life Science and Health.

2.3 Target groups:

2.3.1 Up to three positions annually for Master students holding a Bachelor degree (or equivalent) in the agreed research fields in order to conduct research for their Master thesis at JÜLICH.

2.3.2 Up to three positions annually for a PhD students, up to the age of 30 years, holding a Master degree (or equivalent) in the agreed research fields for preparing PhD thesis at JÜLICH.

3 Duration and validity:

3.1 The agreement shall enter into force on signature by both parties and is valid until 16 June 2020.

3.2 The duration of the internship for Master students should be in compliance with curricula of their home university.

3.3 The internship for PhD students is granted for a period up to 3 years with a possible prolongation up to 6 months. The prolongation should be agreed upon between the Foundation and JÜLICH and based on the formal request of the universities/research institutes involved. The accumulated duration of research stays at JÜLICH must not be shorter than 8 months in each academic year and/or 4 months in each academic semester.

4 Funding:

The grants, jointly funded by the Foundation and JÜLICH, consist of:

4.1 Targeted grant funding for the physical persons defined in the articles 2.3.1 and 2.3.2 of this Agreement. Grant installment, totaling 900 € per month for Master students and 1400 € per month for PhD students and includes daily allowance, health, accident and Personal Liability Insurance;

4.2 Travel grants for the physical persons defined in the articles 2.3.1 and 2.3.2 of this Agreement includes:

a) One travel annually within EU for participation in a scientific event with high relevance to the topic of the Master/PhD study;

b) Up to two return travels annually between Georgia and Germany (economy class).

4.3 Targeted grant funding is allocated equally by JÜLICH (50%) and the FOUNDATION (50%).

4.4 The travel expenses within EU are covered by JÜLICH.

4.5 Return travels between Georgia and Germany is funded by the FOUNDATION.

5 Application submission procedure:

5.1 By introduction of, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Ilia State University or any other Georgian university (by mutual consent of JÜLICH and this university), the potential beneficiary of the Programme should submit to the FOUNDATION electronic version of application and its hard copy, in English and in Georgian languages.

5.2 Application should contain the following documents:

a) Filled application form – cover sheet (in English and in Georgian);
b) Official invitation letter of the host institute (supervisor)of JÜLICH [1];
c) Letter of recommendation of the sending university (supervisor) in Georgia (in English);
d) Certificate of the highest previous scientific degree (Georgian and English/German versions)[2];
e) Certificate of ability to communicate in German and/or English language[3];
f) Tabular curriculum vitae (CV);
g) List of publications (if available) in English with titles, coauthors, place and date of publication, other necessary details;
h) Research plan (1 – 2 pages in English), agreed with the host institute of JÜLICH, confirmed by the official letter on headed paper of JÜLICH and signed by supervisor from JÜLICH's host institute.

5.3 The FOUNDATION process only complete applications. Incomplete applications will be rejected on formal grounds.

---

[1] **The invitation** ("Confirmation of Supervision") by a JÜLICH scientist must be written on the official letter headed paper of JÜLICH (including Address, Telephone, Fax, and Email) and it must be signed by JÜLICH's supervising scientist. **The invitation must specify the length of the planned research stay.** The invitation can be submitted by fax or email scan.

[2] **Qualification certificates**, Diploma or Master Certificates have to be submitted in German or English translations, which can be certified by the university administration.

[3] The **language certificate** to confirm the applicant's German or English language skills can also be provided by the university administration.

6 Granting procedures and reporting:

6.1 The FOUNDATION provides eligibility check of submitted applications including availability of all documents listed in the article 5.2.

6.2 In case of (technical) inaccuracy, the FOUNDATION requests applicants to resubmit corrected document within 5 days span.

6.3 The FOUNDATION prepares the integrated list of proposals submitted by Master and PhD students (up to 3 proposals in each category) from the universities mentioned in the article 5.1 and send it by e-mail to JÜLICH together with the complete set of respective documents for consideration and approval.

6.4 Final endorsement on submitted applications is decided by JÜLICH.

6.5 Based on documents approved by JÜLICH, the FOUNDATION concludes grant agreements with the respective persons (Master and PhD students) and allocates 50% of targeted grant funding (monthly grants) as well as covers up to two return travels expenses from Georgia to Germany.

6.6 After finishing the Programme, in 21 days upon their arrival to Georgia, grantees - Master and PhD students, should submit to the FOUNDATION brief report (in English and Georgian) on implemented research. In case of funding the return travels between Georgia and Germany, grantee should submit to the FOUNDATION the financial report (together with respective documents/copies).

6.7 Together with the report(s), in the same period, grantees should submit to the FOUNDATION the letter (in English) of their supervisor at the host institute of JÜLICH containing his/her evaluation of the grantees research in the frame of the Programme.

7 Contact persons

Contact at the FOUNDATION:

Khatia Ananiashvili
Shota Rustaveli National Science Foundation
1 Aleksidze 0193, Tbilisi, Georgia
ananiashvili@rustaveli.org.ge

Contact at JÜLICH:

Sabine Dues
Manager International Affairs
Office of the Board of Directors and International Affairs
Forschungszentrum Jülich GmbH
D-52425 Jülich, Germany
s.dues@fz-juelich.de

Jülich, 16.06.2015

For Shota Rustaveli National Science Foundation

Prof. Dr. Marine Chitashvili
Director General

For Forschungszentrum Jülich GmbH

Prof. Dr. Sebastian M. Schmidt
Member of the Board of Directors

2. Amendment

to the

Agreement on

JÜLICH-GEORGIA Joint Programme for Master and PhD Students

Amendments:

1. The name of the FOUNDATION should be now read as:

LEPL Shota Rustaveli National Science Foundation

2. the **article 1 Scope** should be now read as:

The parties agree to implement the Programme in order to further intensify and strengthen the cooperation between Germany and Georgia and provide support to Master and PhD students from Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Ilia State University, Agricultural University of Georgia or any other Georgian university (by mutual consent of JÜLICH and this university) to ensure their internships at JÜLICH[1].

Legal basis:

- Memorandum between the Forschungszentrum Jülich (JÜLICH, Federal Republic of Germany) and the Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF,

---

[1] As JÜLICH is a research center and not a university, all Professors employed by JÜLICH must be additionally affiliated at a German university. Therefore, Master/PhD students may undertake an internship at their Supervisor's host university. In case of applying the 'Cotutelle' procedure in order to obtain a PhD, those students are obliged to be enrolled at the University of their Supervisor. To allow the application of the 'Cotutelle' procedure, the Georgian Partner-University must enter into a contract with this specific university in addition.

Georgia) on Scientific Cooperation (June 2015) - Annex 1. The memorandum is valid until 16 June, 2020.

- Letter of Intent between the Ministry of Education and Science of Georgia (MoE) and Forschungszentrum Jülich GmbH (JÜLICH) on strategic partnership (2014) - Annex 2.
- Memorandum of Understanding (MoU) between Forschungszentrum Jülich GmbH (JÜLICH) and Ministry of Education and Science of Georgia (MoE) regarding SMART|*Labs* signed on 07th of October 2015.

3. The **article 3.3** under **Duration and Validation** should be now read as:

The internship for PhD students is granted for a period up to 3 years with a possible prolongation up to 6 months. The prolongation should be agreed upon between the Foundation and JÜLICH and based on the formal request of the universities/research institutes involved. In case of prolongation, the Foundation shall not be liable for providing any additional funding. The accumulated duration of research stays at JÜLICH must not be shorter than 8 months in each academic year and/or 4 months in each academic semester.

4. The **article 4.1** under **Funding** should be now read as:

Targeted grant funding for the physical persons defined in the articles 2.3.1 and 2.3.2 of this Agreement. Grant installment, totaling 900 € per month for Master students and 1400 € per month for PhD students and includes monthly allowance, health, accident and Personal Liability Insurance;

5. The **article 5.1** under **Application submission procedure** should be now read as:

By introduction of, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Ilia State University, , or any other Georgian university (by mutual consent of JÜLICH and this university), the potential beneficiary of the Programme should submit to the FOUNDATION electronic version of application and its hard copy, in English and in Georgian languages.

6. The **article 6.6** under **Granting Procedures and Reporting** should be now read as: After finishing the Programme, in 21 days upon their arrival to Georgia, grantees - Master and PhD students, should submit to the Foundation a brief report (the template to be approved by the Foundation) (in English and Georgian) on implemented research. In case of funding the return travels between Georgia and Germany, grantee should submit to the Foundation the financial report (together with respective documents/copies).

Jülich, 10. May 2016

For LEPL Shota Rustaveli National Science Foundation

Prof. Dr. Marine Chitashvili
Director General

For Forschungszentrum Jülich GmbH

Prof. Dr. Sebastian M. Schmidt
Member of the Board of Directors

i.V. Prof. Dr. Hans Stroeher
Institute Director IKP-2